შორენა კუპატაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Shorena.Kupatadze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.50

მხატვრული კონცეპტი როგორც ლინგვისტიკის კვლევის ობიექტი

ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობისთვის ამჟამად თანაბრად აქტუალურია მხატვრული კონცეპტის, მისი არსის, სტრუქტურის, ტიპოლოგიის, ტექსტში მისი გამოყოფის კრიტერიუმების განსაზღვრისა და სხვ. საკითხები. მხატვრული კონცეპტის ლინგვისტურად ცენტრირებული კვლევის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, გამოიკვეთოს მხატვრული კონცეპტის სპეციფიკა - მისი განსხვავება არამხატვრული (ე.წ. შემეცნებითი კონცეპტისგან), შესწავლილ იქნას მისი სტრუქტურა და, შემდეგ ეტაპზე, შეიქმნას მხატვრულ ნაწარმოებში მისი გამოყოფისა და ანალიზის ერთგვარი ალგორითმი - მოდელი.

კონცეპტის ცნება უკვე დამკვიდრდა ლინგვისტურ ნაშრომებში, თუმცა ხშირად აღინიშნება ამ საბაზისო ტერმინის არაერთგვაროვანი გაგება ლინგვოკოგნიტურ, ლინგვოკულტუროლოგიურ და ფსიქოლინგვისტურ მიმართულებათა კვლევევებში. ჩვენი აზრით, თითოეული მიმართულების მეთოდოლოგიისთვის ფუნდამენტურია პასუხი კითხვაზე, ინდივიდუალური ცნობიერების ერთეულად უნდა ჩაითვალოს იგი, თუ ეროვნული ცნობიერებისა. ფსიქოლინგვისტთა თვალსაზრისით, კონცეპტი - ინდივიდუალური ცნობიერების ერთეულია. მაგალითად, *ა. ა. ზალევსკაია* განსაზღვრავს მას, როგორც „დინამიური ბუნების პერცეპტულ-კოგნიტურ-აფექტურ წარმონაქმნს, რომელიც სპონტანურად ფუნქციონირებს ინდივიდის შემეცნებით და კომუნიკაციურ მოღვაწეობაში და რომელიც ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების კანონებს ემორჩილება“ [5: 39].

ლინგვოკულტურული მიმართულების კვლევებში კი, პირიქით, აქცენტი კეთდება კონცეპტების ზეინდივიდუალურ ბუნებაზე - იმაზე, რომ თითოეულ კონცეპტს ფესვები სწორედ კულტურაში აქვს გადგმული და კულტურით იკვებება: „კონცეპტი - კოლექტიური ცოდნის/ცნობიერების ერთეულია, რომელიც უმაღლეს სულიერ ფასეულობებთანაა დაკავშირებული, აქვს ენობრივი გამოხატულება და აღბეჭდილია ლინგვოკულტურული სპეციფიკით“ [4: 70].

მხატვრულ კონცეპტზე საუბრის დროსაც ორგვარი მიდგომა იკვეთება. ერთი მხრივ, იგი განიხილება, როგორც ავტორისეული ინდივიდუალური ფსიქიკური ქმნილება და, მეორე მხრივ, როგორც სამყაროს ტრადიციული, ეროვნული მხატვრული სურათის ელემენტი. მაგალითად, *ო. ვ. ბესპალოვა* მხატვრულ კონცეპტს განიხილავს, როგორც „პოეტის ან მწერლის ცნობიერების ერთეულს, რომლის რეპრეზენტაცია ხდება მხატვრულ ნაწარმოებში ან ნაწარმოებების ერთობლიობაში, და რომელიც გამოხატავს საგნებისა თუ მოვლენების არსის ავტორისეულ ინდივიდუალურ გააზრებას [1: 6].

განსხვავებულ მიდგომას ავლენენ ლინგვისტები, რომლებიც მხატვრულ კონცეპტს განსაზღვრავენ, როგორც კულტურის ცნების კერძო რეალიზებას. ამ მხრივ საინტერესოა *ლ. ვ. მილერის* თვალსაზრისი, რომელიც კონცეპტს განიხილავს, როგორც მენტალურ წარმონაქმნს, რომელიც მიეკუთვნება არა მხოლოდ ინდივიდუალურ ცნობიერებას, არამედ (ესთეტიკური გამოცდილების შემადგენლის სახით) გარკვეული ეთნოკულტურული ერთობის

ფსიქომენტალურ სფეროსაც, როგორც უნივერსალურ მხატვრულ გამოცდილებას, რომელიც დაფიქსირებულია კულტურულ მეხსიერებაში და შეუძლია შეასრულოს სამშენებლო მასალის როლი ახალი მხატვრული მნიშვნელობების ფორმირებისას [8: 42]. *ლ. ვ. მილერი* კონცეპტების ოთხ ტიპს გამოჰყოფს: გრძნობების კონცეპტები, რომლებსაც აქვთ გარკვეული ეთნოკულტურულად განსაზღვრული შინაარსი, სოციალური რეგლამენტაციათა სისტემით განსაზღვრული კონცეპტები, მხატვრულ-ემოციური კონცეპტები, სტანდარტიზებული, ეთნოკულტურულად განპირობებული ინტერპრეტაციები.

კულტუროლოგიური მიდგომა კონცეპტის შესწავლისადმი განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება ლიტერატურისმცოდნეობის მიმართულების ნაშრომებში. ამ მხრივ, კონცეპტის მკაფიო განსაზღვრებაა წარმოდგენილი *ვ. გ. ზუსმანის* ნაშრომებში. მკვლევარი ასაბუთებს თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის ტერმინოლოგიურ სისტემაში კონცეპტის ცნების შეტანის შესაძლებლობასა და აუცილებლობას და წერს, რომ კონცეპტზე დაყრდნობა ახალ შესაძლებლობებს იძლევა ლიტერატურის კომუნიკაციურ მხატვრულ სისტემად წარმოჩენის თვალსაზრისით. ლიტერატურული კონცეპტი, ავტორის აზრით, მხატვრულ ტექსტში კულტურის სხვა სფეროების ერთგვარი „აგენტის“ როლს ასრულებს; იგი წარმოადგენს ისეთ სახეს, სიმბოლოს ან მოტივს, რომელიც სცილდება მხატვრული ნაწარმოების ფარგლებს და გეოპოლიტიკურ, ისტორიულ, ეთნო-ფსიქოლოგიურ მომენტებზე „გადის“ [6:14]. ავტორი აღნიშნავს, რომ სწორედ კულტურის ასოციაციურ ქსელში ჩართულობა აქცევს ლიტერატურულ სახეს კონცეპტად. აქედან გამომდინარე, მხატვრული სახე და მხატვრული კონცეპტი ერთმანეთს უპირისპირდება ფუნქციური სფეროს მიხედვით - მხატვრული სახე მოიაზრება ინტრატექსტუალურ სივრცეში, ხოლო მხატვრული კონცეპტი - ინტერტექსტუალურში.

მხატვრულ კონცეპტსა და მხატვრულ სახეს შორის არსებული მიმართების საკითხს იკვლევს *ი. ნ. კოლცოვა.* ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ორ ცნებას შორის არსებული მიმართების გარკვევა ასოციაციურობის კატეგორიის საფუძველზეა შესაძლებელი. ასოციაციებს იგი მოიაზრებს, როგორც კავშირებს, რომლებიც წარმოიქმნება გარკვეულ პირობებში სააზროვნო პროცესის ორ ან რამდენიმე ელემენტს (შეგრძნებებს, აღქმას, წარმოდგენებს, იდეებს) შორის და იმაში მდგომარეობს, რომ ერთი საგნის გამოჩენა რეგულარულად იწვევს მეორე (ან რამდენიმე სხვა) საგნის გამოჩენას [7]. სწორედ ასეთი რეგულარული ასოციაციები ქმნიან კულტურული კონცეპტების საფუძველს და აისახებიან ენის სისტემაში.

სტატიის ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ მხატვრულ კონცეპტებსა და მხატვრულ სახეებს შორის ორმხრივი კავშირი არსებობს: ერთი მხრივ, კონცეპტების სისტემა, რომელიც წარმოადგენს ავტორის მსოფლმხედველობას და გამოხატულებას პოულობს მხატვრულ ნაწარმოებში, განსაზღვრავს ნაწარმოების შესაბამის სტრუქტურას და იმ კონკრეტული ობიექტების, მოქმედებების და ვითარებების არჩევას, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან მხატვრული სახეების საფუძველი, ანუ გამოიწვიონ სასურველი ასოციაციები. მეორე მხრივ, საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრებულია გარკვეული განზოგადებული წარმოდგენა ამ ობიექტებზე, მოქმედებებსა და მდგომარეობებზე, ანუ არსებობს მათი საერთო კულტურული კონცეპტები, რომლებიც მოიცავს მათ სხვა მახასიათებლებსაც. ამ მახასიათებლებს, რომლებიც ავტორის ცნობიერებაში ასევე ასოციაციებით, ზოგჯერ თვით მისთვისაც მოულოდნელად, იდეების შემთხვევითი ურთიერთგადაკვეთის შედეგად ამოტივტივდება, შეუძლიათ გავლენა იქონიონ სიუჟეტის განვითარებაზე და შეცვალონ მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურა [7].

მხატვრული კონცეპტის პრობლემატიკის კვლევისადმი მიძღვნილ ლინგვისტურ ნაშრომებში ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს ამ ტიპის კონცეპტის სპეციფიკური ნიშან-თვისებების გამოკვეთა, მისი გამიჯვნა ე. წ. შემეცნებითი კონცეპტისგან. მაგალითად, *ო. მაკაროვსკა* საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთს განსხვავებებს, რომლებიც არსებობს კონცეპტსა (როგორც აზრობრივი სამყაროს კონცეპტოსფეროს შემადგენელ ელემენტს) და მხატვრულ კონცეპტს შორის. ავტორი თვლის, რომ კონცეპტი როგორც აზრობრივი სამყაროს (მათ შორის, ავტორის როგორც ინდივიდის) კონცეპტოსფეროს ელემენტი - ადაიანის ცნობიერების ურთულესი ერთეული, საგნის/მოვლენის მენტალური რეპრეზენტაციაა, რომლის შინაარს წარმოადგენს „აზრობრივი კომბინაცია“, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის მნიშვნელობებს: შეფასებითს, ღირებულებითს, ასოციაციურს, ემოციურს, ირაციონალურს; პერცეპტულს, მოტორულს, ქცევითს და ა.შ. მხატვრულ კონცეპტებს ავტორი მიაკუთვნებს, ერთი მხრივ, ავტორისეულ კონცეპტებს, მეორე მხრივ კი - შემოქმედებითად გადააზრებულ და მხატვრული სახით წარმოდგენილ კონცეპტებს, რომლებიც მხატვრული ნაწარმოების შექმნის პროცესში გარდაიქმნებიან ავტორის მიერ და მხატვრული ტექსტის აზრობრივ ერთეულებად იქცევიან. მოკლედ რომ შევაჯამოთ, ო. მაკაროვსკა თვლის, რომ მხატვრული კონცეპტი იქმნება არამხატვრული კონცეპტის გარდაქმნით, ამიტომ იგი თავისთად მოიცავს იმ მნიშვნელობებსაც, რომლებიც არამხატვრულში არსებობენ.

არამხატვრული კონცეპტები არ წარმოადგენენ გაყინულ ფორმას: ცნობიერებაში ხდება მათი ტრანსფორმაცია, მოდიფიცირება, შევსება ახალი მნიშვნელობებით: ზოგიერთი მნიშვნელობა იშლება მეხსიერებიდან ან ხდება მისი ჩანაცვლება სხვა მნიშვნელობით. ერთი სიტყვით, კონცეპტებისთვის დამახასიათებელია არა მტკიცე, არამედ შედარებითი სემანტიკური სტაბილურობა და გახსნილობა. ეს თვისება „მემკვიდრეობით“ გადაეცემა მხატვრულ კონცეპტებსაც, რომლებშიც, სხვადასხვა ნაწარმოებების ფარგლებში, შეიძლება გამოიკვეთოს კონკრეტული კონტექსტისთვის აქტუალური მნიშვნელობები, რომლებიც ავტორმა, შესაძლოა, განსხვავებული რაკურსით წარმოაჩინოს.

მხატვრულ ლიტერატურაში კონცეპტები, ერთი მხრივ, ასახავენ როგორც კოგნიტურ, უნივერსალურ, ასევე ლინგვოკულტურულ წარმოდგენებს, მეორე მხრივ, წარმოქმიან საკუთარ კონცეპტუალურ სამყაროს, როგორც წესი, ემოციურს, ხატოვანს. „მხატვრულ ტექსტში“, - წერს *ნ. ს. ვალგინა,* - ცხოვრებისეული მასალა გარდაიქმნება ერთგვარ „პატარა სამყაროდ“, რომელიც დანახულია ავტორის თვალით. ამიტომ მხატვრულ ტექსტში გამოსახული ცხოვრებისეული სურათების მიღმა ყოველთვის არის ქვეტექსტური, ინტერპრეტაციული ფუნქციონალური პლანი, „მეორეული რეალობა“ [3:70].

ამრიგად, მხატვრული ნაწაროების ავტორი არა მხოლოდ იყენებს, არამედ თავისებურად იაზრებს კულტურაში ფორმირებულ, ჩამოყალიბებულ კონცეპტებს, იგი ერთგვარად ხელახლა აღმოაჩენს კონცეპტის შინაარსს: იდეების მრავალფეროვანი სპექტრიდან და მასზე დალექილი ისტორიული და კულტურული შრეებიდან ავტორი ირჩევს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანს, გამოკვეთს ცალკეულ კონცეპტუალურ თავისებურებებს და თანდათან ახლებურად კრავს ერთ მთლიანობაში თავისი - ავტორისეული - ტექნიკის სახვადასხვა საშუალებების გამოყენებით.

ლიტერატურული ნაწარმოების ყველა მხატვრული კონცეპტის ერთობლიობა წარმოქმნის მის კონცეპტოსფეროს. ეს ცნება შემოღებულ იქნა *დ. ს. ლიხაჩოვის* მიერ ენაში კონცეპტების ერთობლიობის აღსანიშნად [10: 282]. ავტორის ინტენციიდან გამომდინარე, მხატვრული ტექსტის კონცეპტოსფერო კონცეპტების სხვადასხვა რაოდენობას შეიძლება

მოიცავდეს. თითოეული მხატვრული კონცეპტის რეალიზება განსხვავებული ხარისხით ხდება, რაც ამა თუ იმ კონკრეტული კონცეპტის აქტუალურობაზეა დამოკიდებული მხატვრული ნაწარმოების თემატიკასთან და იდეასთან მიმართებით.

მხატვრული კონცეპტის რეალიზება ტექსტში ხდება ლექსიკური ერთეულების მეშვეობით, რომლებიც წარმოქმნიან მის ნომინაციურ ველს. რაც შეეხება მხატვრული კონცეპტის სტრუქტურას, ლინგვისტურ ნაშრომებში იგი განსხვავებული აგებულებით და ტერმინოლოგიითაა წარმოდგენილი. *ვ. ა. მასლოვა* თვლის, რომ მხატვრული ტექსტის სტრუქტურის ერთიანი განსაზღვრებისა და ტერმინოლოგიის არარსებობა დაკავშირებულია იმასთან, რომ კონცეპტს რთული, მრავალგანზომილებიანი სტრუქტურა აქვს, რომელიც, ცნებითი ბაზისის გარდა, მოიცავს სოციო-ფსიქო-კულტურულ ნაწილს, რომელსაც ენის მატარებელი არა იმდენად იაზრებს, რამდენადაც გრძნობს, განიცდის; იგი მოიცავს ასოციაციებს, ემოციებს, შეფასებებს, ნაციონალურ ხატებსა და კონოტაციებს, რომლებიც მოცემული კულტურისთვისაა დამახასიათებელი [8: 50].

კვლევის ობიექტის - მხატვრული კონცეპტის - სირთულე განსაზღვრავს იმასაც, რომ მისი ანალიზი განსხვავებული მეთოდებით ხდება, კონცეპტუალური ანალიზის მეთოდიკის არჩევას კი ხშირად კვლევის კონკრეტული მიზნები, ამოცანები და საგანი განსაზღვრავს. მაგალითად, *ი. ა. ტარასოვა* ცალკეული მხატვრული კონცეპტების კვლევისთვის გვთავაზობს მეთოდიკას, რომელიც ეფუძნება კონცეპტის შრეების თანმიმდევრულ გამოყოფას. ამავე დროს, მხატვრული კონცეპტის ანალიზის დამატებითი მეთოდების სპეციფიკა პირდაპირ იქნება დაკავშირებული მის ტიპზე. მაგალითად, კონცეპტ-გეშტალტებისთვის ავტორს ოპტიმალურად მიაჩნია ველების მეთოდი და კოგნიტურ-პროპოზიციული სტრუქტურების ანალიზი. ტოპოლოგიურ კონცეპტებს იკვლევენ სივრცითი მოდელირების მეთოდიკით; ემოციურ კონცეპტებს - „ეიდეტური დესკრიფციის“ მეთოდით. იმ კონცეპტების შესწავლისას, რომელთაც გრძნობებით აღქმადი ბირთვი გააჩნიათ, იყენებენ კონცეპტუალური სტრუქტურების შრეების სახით აღწერის მეთოდს; ამ დროს მხატვრული კონცეპტის კომპონენტების გამოვლენა შესაძლებელია როგორც იმ კონტექსტების სემანტიკურ-კოგნიტური ინტერპრეტაციის მეშვეობით, რომლებშიც ხდება მოცემული კონცეპტის ნომინირება, ისე დამატებითი სამეცნიერო თუ ენციკლოპედიური ლიტერატურის (ფილოლოგიური ლექსიკონების, სიმბოლოთა ლექსიკონების და ენციკლოპედიების, ასოციაციური თეზაურუსების) გამოყენებით [9].

ნ. ს. ბოლოტნოვა მხატვრული კონცეპტების ანალიზისთვის მიზანშეწონილად მიიჩნევს კომუნიკაციურ-კოგნიტური მეთოდოლოგიური მიდგომის გამოყენებას, რომელიც ითავლისწინებს ტექსტის ენობრივ და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს. ამავდროულად, ავტორი მხატვრული კონცეპტის სტრუქტურაში პრიორიტეტულად აღიარებს ასოციაციურ შრეს, რომელიც ახდენს ცნობიერებაში მისი დანარჩენი შრეების აქტუალიზებას, და კონცეპტუალური შინაარსის ექსპლიკაციისთვის იყენებს მხატვრული კონცეპტეების ტექსტური და ინტერტექსტუალური ასოციაციურ-შინაარსობრივი ველების მოდელირების მეთოდს [2].

ამრიგად, მხატვრული კონცეპტის კვლევისადმი მიძღვნილი ნაშრომების მიმოხილვა შემდეგი დასკვნის საშუალებას გვაძლევს: მხატვრული კონცეპტების რთული ბუნება, კვლევის ინტერდისციპლინური ობიექტის სტატუსი განსაზღვრავს მისი შესწავლისადმი განსხვავებული მიდგომების არსებობას; მხატვრული კონცეპტების მოდელირებისას მიზანშეწონილია, კონკრეტული კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, ანალიზის სხვადასხვა

მეთოდების კომპლექსის გამოყენება. ანალიზის მრავალფეროვანი მეთოდების (სემანტიკურ-კოგნიტურის, კონტექსტუალურის, სტრუქტურულის, შეპირისპირებითის, ველების მეთოდის და სხვ.) გამოყენება ხელს უწყობს კონცეპტის მრავალმხრივი ანალიზის განხორციელებას და, შესაბამისად, მაქსიმალურად სრული სურათის შექმნას მის ბუნებაზე. ამავე დროს, გასათვალისწინებელია მკვლევართა უმრავლესობის აზრი მხატვრული კონცეპტის ამომწურავი აღწერის შეუძლებლობის შესახებ [10; 9; 5; და სხვ.], რაც განპირობებულია მისი ისეთი არსებითი მახასიათებლებით, როგორიცაა დინამიურობა და მკაფიო ფორმის არარსებობა.

ლიტერატურა:

1.ბესპალოვა ო.ვ. (2002) - Беспалова О.В. (2002): Концептосфера поэзии Н. Гумилева в ее лексикографическом представлении: Автореф. дис.... канд. филол. наук. СПб.

2.ბოლოტნოვა ნ.ს. (2007) - Болотнова Н.С. (2007): О методике изучения ассоциативного слоя художественного концепта в тексте. Вестн. ТПГУ. Вып. 2 (65). Сер. Гуманитарные науки (филология).

3. ვალგინა ნ.ს. (2003) - Валгина Н.С. (2003): Теория текста. Логос. Москва.

4. ვორკაჩოვი ს.გ. (2001) - Воркачев С.Г. Лингвокультурология, языковая личность, концепт: становление антропоцентрической парадигмы в языкознании // Филологические науки. №1.

5. ზალევსკაია ა.ა. (2001) - Залевская А.А. (2001): Текст и его понимание. Тверь.

6. ზუსმანი ვ.გ. (2001) - Зусман В.Г. (2001): Диалог и концепт в литературе. Литература и музыка. Н. Новгород.

7. კოლცოვო ი.ნ. (2001) - Кольцова Ю. Н. (2001): Художественный концепт и художественный образ // Язык, культура и межкультурная коммуникация: межвуз. сб. ст. / под ред. Н. К. Гарбовского. Изд-во МГУ, Москва. 157-163.

8.მასლოვა ლ.ვ. (2004) - Маслова В.А. (2004): Когнитивная лингвистика. Учебное пособие. Тертасистема. Минск.

9.მილერი ლ.ვ. (2000) - Миллер Л.В. (2000): Художественный концепт как смысловая и эстетическая категория // Мир русского слова. 2000. № 4.

10.ტარასოვა ი.ა. (2010) - Тарасова И.А. (2010): Художественный концепт: диалог лингвистики и литературоведения// Вестник Нижегородского университета им. Н.И. Лобачевского. № 4 (2). 742–745.

Shorena Kupatadze
Akaki Tsereteli State University

Artistic concept as an object of linguistics research

Abstract

The growing trend of interdisciplinarity, which is characteristic of the modern scientific paradigm, among other features, implies the existence of common objects of research, common terminology. For linguistics and literary studies, it is currently equally relevant to determine the artistic concept, its essence, structure, typology, criteria for its seperation in the text, etc. issues. The paper discusses the specifics of the study of the artistic concept in linguistic studies: different approaches to the research object, current problems, the methodology of separating concepts in the artistic work, their structuring and complex linguistic analysis.